ავთანდილ თორდია

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2023.15.02

/შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი/

მასალები ენგურის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის



ანოტაცია: *სტატიაში მოცემულია 1984 წლის ზაფხულში ჩვენ მიერ შესწავლილი და აღწერილი - ძირითადად წალენჯიხის რ-ნის ენგურის ხეობაში მდებარე სოფლები და ნასოფლარები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ტოპონიმიკური მასალა (ონომასტიკა) და ა.შ., ეს ტერიტორია განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში სამეგრელოს (ოდიშის) შემადგენლობაში იყო და აფაქიძეთა გვარის მფლობელობის გამო „საფაქიოდ“ იწოდებოდა. ის გეოგრაფიულად შეიძლება სამად დავყოთ: 1. მთიანი ზოლი, ოხაჩქუეს და ყვირას მასივები; 2. მაგანას, ოლორის ხეობები და მათ შორის ენგურის ხეობის ნაწილი - ჯვარიდან სვანეთის საზღვრამდე; 3. ენგურის პირი, რომელიც ასევე ჯვარიდან იწყება და S -ით კოლხეთის დაბლობს უერთდება (სოფ. ლიის და პალურის ტერიტორია).*[1]

ფახულანი

ფახულანი მდებარეობს ენგურის მარჯვენა ნაპირზე, იყოფა უბნებად, რომლებიც ძველად ფახულანის თემში შემავალი ცალკე სოფლები იყო - ეშქედა, ლანჯიში, ლეკუკე, ნარაგუ, ლეგერდე (საგერგედა), ტებენე, უბადოღალი, ქალაღალი, ცხონოხორი, წყოუში (წოუშხევი), ჭველეში.

ფახულანი წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XIII-XIV სს-ს მიჯნით დათარიღებულ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში - „მიქაელ ფახულანისა დეკანოზისაჲ“ (1-; აღაპი 241. ტაბულა XXIX; 101, 129, 169). ე. მეტრეველს „ფახულანი“ (ფახულიანი) გვარად მიუჩნევია (იქვე: 129, 169), ჩვენი აზრით - „მიქაელ ფახულანისა დეკანოზისაჲ“ ნიშნავს ფახულანის ეკლესიის მოძღვარს, ამას გვაფიქრებინებს: 1. ის, რომ: ფახულანი აღნიშნულ პერიოდში ფეოდალური სენიორიის - სააფაქიოს ცენტრი იყო. 2. იმავე დროს, სხვა აღაპში რომ იხსენიება მიქაელ აფაქისძე (იქვე; აღაპი N 50, ტაბულა XLVII, 83, 132). 3. რაც შეეხება გვარს (ფახულიანი) ქართულ ონომასტიკაში საერთოდ არ გვხვდება. ფახულანის თემის სოფელ წყოუში იხსენიება - „წყოუშხევის“ ფორმით XIV ს-ში (დხლ. 1345-1355 წლებს შორის), ხაჟიგ დადიანის დაწერილში (2; N3; 103; 3; 165-174; 4; 125-129). ფახულანი ყოველთვის, მათ შორის IX-XVII სს-ში, ჯერ სამეგრელოს (ოდიშის საერისთაოს), შემდეგ სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. სიტუაცია ნაწილობრივ იცვლება XVIII ს-ის დამდეგისთვის, როცა აფხაზთა მთავრებმა ჯიქთა და ჩერქეზთა დახმარებით დაიპყრეს ოდიშის ტერიტორია კელასურიდან ენგურამდე. როგორც ჩანს, ფახულანი ყვაპუ შარვაშიძის, შემდეგ მისი ძის, მურზაყანის ხელში აღმოჩნდა (ღალიძგიდან - ენგურამდე ტერიტორია - სამურზაყანო). თუმცა, XVIII ს-ის შუა წლებიდან შარვაშიძეების - ყვაპუს შტო ფლობს სამურზაყანოს, რომელიც სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა (5; 204, 206), 1840 წლიდან სამურზაყანო ჩამოართვეს დადიანებს და ის რუსულ მმართველობას დაუქვემდებარეს. როგორც ჩანს, ფახულანიც, რადგან დავით დადიანის მმართველობის დროს 1840-1854 წწ., ის ჯვარის მაზრის სოფლებში არ იხსენიება (6;112).

---

[1] ჩვენ მიერ მოხილულ მხარეზე წერილობითი წყაროები მწირია, XIX ს.მდე მხოლოდ ფახულანი, წყოუში, ხუდონი და ჯვარი იხსენიება. საკვლევ ტერიტორიაზე მდებარე არც ერთ ისტორიულ ძეგლზე ცნობა არ მოგვეპოვება. ამიტომ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას ვეყრდნობით ადგილზე მოპოვებულ მასალას და იმ გამოკვლევებს, რომელშიც რეგიონი შესწავლილია არქეოლოგიური, არქიტექტურული, ტოპონიმიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ფახულანის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი ქვედა პალეოლითიდან ჩანს (7; 11-12). 1. ფეოდალური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია ციხის ნანგრევები ენგურ-ოლორის ხერთვისში, საკმაოდ მაღალ ბორცვზე. ადგილობრივები მას - „კირდეშ ჯინჯიშ ჯიხას“ (კლდის ძირის ციხე) უწოდებენ. ლიტერატურაში ამ ციხის მეორე სახელიცაა დაფიქსირებული - „სქვამაიაშ ჯიხა“ (8; 88) გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს ციხის ტერიტორია არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი ჯ. ჯღამაიას მიერ. იქ ეკლესიასთან აღმოჩნდა აკლდამა: ადამიანის ჩონჩხით, საომარი იარაღებით, კერამიკის ნაწარმი, ფაიანსი, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეებით იქნა დათარიღებული.

ციხის ტერიტორია საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავს, ბორცვს, რომელზეც ის მდებარეობს, თითქმის ყოველი მხრიდან ციცაბო კალთები აქვს. O კუთხეში ოთხკუთხა კოშკის ნაშთია, კედლის სიმაღლე 1,5-2 მეტრზეა შემორჩენილი. კოშკის კედლები კონტრფორსითაა გამაგრებული. ციხეს შესასვლელი კოშკის მარჯვენა მხარეზე ჰქონდა. ციხის გალავანი N და W მხარეს თითქმის დანგრეულია. S-W კუთხეში საკმაოდ მოზრდილი ნაგებობის ნაშთებია, რადგან ის მთლიანად ეკალ-ბარდებით იყო დაფარული, აღწერა შეუძლებელი გახდა. ციხის კედლები ნაგებია რიყის ქვით, წყობა არეული, სისქე (1-1,2 მ.). ციხის ეზოში NO მხარეზე დარბაზული ეკლესიის ნანგრევია (11 X 7 მმ.), აფსიდა ნახევარწრიულია, გადარჩენილი კედლების მიხედვით, ის მოპირკეთებული ყოფილა ქვიშაქვის თლილი კვადრებით, რომელიც ახლა აქა-იქ არის შემორჩენილი. მთავარი შესასვლელი ეკლესიას W-ით აქვს. კარები ასევე ჰქონდა N-ის და S-ის მხარეს, რომლებიც მცირე ზომის მინაშენებში გადიოდა. N-ის მინაშენის კედლები გარკვეულ დონეზე გადარჩენილია, ის უაფსიდოა (სამკვეთლო). O-ით როგორც მთავარ ნაწილს აქვს სარკმელი, W-ით ვიწრო კარი, S-ის მინაშენი კი მთლიანად დანგრეულია, თუ არ ჩავთვლით მიწით დაფარულ ქვის ყორეს, რომელიც დაახლოებით N-ის მინაშენის ზომისა იქნებოდა. მსგავსი ყორე აქვს ეკლესიას W-ითაც. ის მოხატული ყოფილა, რასაც ადასტურებს აქა-იქ შემორჩენილი ფრესკის მკრთალი ხაზები.

ფახულანიც ციხე-დარბაზი, კარის ეკლესიითა და სხვა ნაგებობათა ნაშთებით, საკმაოდ ძლიერი ფეოდალის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, რომელიც ფლობდა ოლორის, მაგანას და ენგურის ხეობათა გარკვეულ ნაწილს, რაც ასახულია ვახუშტი ბაგრატიონის I, II, III ატლასის რუკებზე. ფახულანის ციხის ადგილი აღნიშნულია რეზიდენციის ნიშნით და აწერია „სააფაციო“ (saapacio) ე. ი. სააფაქიო (9; 2-3, 52-53, 62, 78) ციხე კონტროლს უწევდა მის ძირში გამავალ გზებს (აქ, ენგურზე, XX ს-ის 60-იან წლებამდე მოქმედებდა ბორანი) O-დან W-სკენ, N-დან S-სკენ



(ნახ. 1.)

ფახულანში, სოფლის ცენტრთან ახლოს, „ნაოხვამუს“ რომ უწოდებენ, მდგარა ხის ეკლესია, რომელიც გასული ს-ის 30-იან წლებში დაუშლიათ.

სოფ. წყოუშის (ფახულანის თემი) თავზე, საბერიოს (დღ. აფხაზეთი) საზღვართან, სოფლის NW-ით, მაღალი მთის თხემზე დგას ციხე, რომელსაც პირობითად „წყოშის ციხე“ ვუწოდეთ. იქიდან ხელისგულზე მოჩანს ენგურის ხეობის შუა წელი, ერის წყლის სათავეები, შორს სათანჯოს, რუხის, ლიას ციხეები და სხვა. ციხე აგებულია თხემის ცენტრში მასიურ კლდეზე, SW,W და NW მხარეს. კედლის სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევს, სისქე 2 მეტრს აღემატება. კლდე, რომელზედაც დგას ციხე S-დან, N -დან და W -დან მიუდგომელია. თან იქვე ახლოს უსახელო (ღრმად ჩაჭრილი კალაპოტით) ხევი ჩაუდის, რომელიც ენგურს უერთდება. ციხეზე მისასვლელი ერთადერთი გზა O-დან ე.ი. სოფლის მხრიდან ადის, მაგრამ შესასვლელი W-დან აქვს, სადაც საკმაოდ მოზრდილი (გარე ზომები 8X8 მ. შიდა 4 X4 მ.) კვადრატული კოშკი იცავს, რომელიც კონტრფორსებითაა გამაგრებული. ციხე ნაგებია სწორკუთხა, საკმაოდ დიდი ზომის ქვებით, წყობა თითქმის თარაზულია. ის როგორც გეგმით, ისე სამშენებლო ტექნიკით დასავლეთ საქართველოს (ლაზიკა/ეგრისის) სიმაგრეთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ადრე შუა საუკუნეებით თარიღდებიან. წყოუშის ციხე ენგურის ხეობიდან ერისწყლის ხეობაზე გამავალ გზას უწევდა კონტროლს.



ნახ.2

მდ. ოლორს მარჯვენა მხრიდან უერთდება ორი შედარებით დიდ ხევი ტებენე (1) და ტებენე (2). ამ ხევებს შორის არის ნასოფლარი ტებენე. იქვე ოლორსა და ტებენე 1-ის ხერთვისში, თითქმის საძირკვლამდე დანგრეული მცირე ზომის ციხის ნანგრევებია. იმ ადგილს **ატამეშს** უწოდებენ, ხოლო ციხეს **ატამეშიშ ჯიხას.** ოთხკუთხა კოშკის და გალავნის ფრაგმენტებით და მოხაზულობით, გეგმით წყოუშის ციხეს გავს. კლდოვანი ბზის ტყით დაბურული ბორცვი საკმაოდ მიუვალია, S-დან და N-დან, W-დან შვეული კლდეებითაა შემოზღუდული. ციხე გარკვეულ პერიოდში (IV-VIII სს.) იცავდა ტებენესა და ოლორის ხეობაზე გამავალ გზას, რომელიც ოქუმ-ღალიძგის სათავეებისა და ენგურის მარჯვენა შენაკადების წყალგამყოფი ქედის თხემზე გადიოდა და ბოლოს **ერგზაშირას** უღელტეხილით **კოდორის ხეობის** სათავეებში (დალი) და აქედან **ნახარისა** და **ქლუხორის** უღელტეხილებით N კავკასიაში (**ალანში**) გადადიოდა.

(ნახ. 3

ჭალე

ჭალე (ჭალა) ეწოდება სოფელს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე. ის ძველად ჯვარის თემში შედიოდა. 1875 წელს მას **გაღმა-ჯვარი** უწოდეს, ხოლო შემდეგ - **ჭალე**. თვით ამ სოფლის მოსახლეობა თავს ჯვარიდან მოსულად თვლის. ეს რომ ასეა, გვაფიქრებინებს: 1. ის, რომ ჯვარის თემს ეკუთვნოდა და **გაღმა ჯვარი** ერქვა. 2. ფეოდალური ხანის ძეგლების არარსებობა. 3. სოფლის უბნების - საშამუგიო, საშონიო, საუბილო, სახასაიო, „ლე“ პრეფიქსის ნაცვლად „სა“- თი ფორმირება, რაც გვიანდელი ჩანს მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში. რაც შეეხება ჭალას, რომელიც დადიანთა და აფხაზეთის კათალიკოსთა საბუთებში იხსენიება (XVI-XVII სს-ში), ის ორი სხვადასხვა პუნქტია, ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე (10; 412, 480..., 11; 46), დღ. ზუგდიდის და ოჩამჩირის რაიონებში. ე.ი. ჭალე შედარებით ახალი სოფელია, თუნდაც ამას მოსახლეობის გვიან მოსულობა ამტკიცებს. ისტორიული თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ჭალეში შემავალი სოფელი ეწერფერდი, ჭალეს, ფახულანსა და მუჟავას შორის, სადაც აღმოჩენილია აშელ-მუსტიეს პერიოდის (პალეოლითი) სადგომი-გამოქვაბული (7; 11-12). ეწერფერდში შემონახულია XIX ს-ის, [ზოგიერთი ცნობით XVII ს-ის], ქვის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები, ადგილობრივები მას **ჩეოხვამეს** (თეთრ სალოცავს) უწოდებენ. თაღი მთლიანად ჩამოქცეულია. კედლები ნაგებია ფლეთილი ქვებით. კუთხეები გამოყვანილია სწორად გათლილი კვადრებით. ეკლესია შემოზღუდული ყოფილა გალავნით. ახლა მხოლოდ საძირკვლის კვალი ჩანს. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭალეს

ცენტრში მდგარა ხის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაუშლიათ.



ნახ.4

მუჟავა

მუჟავა (მუჟა) მდებარეობს ოლორის ხეობის ზემო წელზე. ეს მდინარე სოფელს ორ ნაწილად ყოფს, მარჯვენა მხარეს - **ნაშამგოუ** ჰქვია. სოფელი ამ სახელწოდებით წერილობით წყაროებში არ იხსენიება[2]. დღევანდელი მოსახლეობა, როგორც ჭალეში, ჯვარიდან გადმოსულა. აქაც, მსგავსად ჭალეს შემთხვევაში, სოფლის უბნები „სა-“ პრეფიქსითაა ნაწარმოები (საჩხაპელიო, საანთიო, სალემონჯო, საქარდო, საარქანიო) „ლე-ს“ ნაცვლად. ეს ყველაფერი აჩენს კითხვას - რა მოუვიდა იმ მოსახლეობას, რომელიც აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდა? სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვედა და ზედა პალეოლითური ნასადგომარი გამოქვაბული (7; 11-12). ფეოდალური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია ციხე-დარბაზი, რომელიც აუგიათ სოფლის თავში, ოლორისა და მისი მარცხენა შენაკადის **ლაჩიდას** ხერთვისში, საკმაოდ მაღალ მთის წვერზე. მას NW-ით, W-ით და S-ით თითქმის მიუვალი, ქარაფოვანი კლდე იცავს. ციხე შედარებით ადვილად მისასვლელია O მხრიდან, საიდანაც კლდის ქანზე გამოკვეთილი საფეხურები ადის ერთადერთ შესასვლელ კართან. NO მხარეზე ციხე უფრო მაღალი მთის თხემიდან გამოყოფილია საკმაოდ ღრმად ჩაჭრილი უნაგირათი, რაც მას ამ მხრიდანაც ძნელად მისადგომს ხდის: ციხის N მხარეს ყველაზე მაღალ ადგილას, ზედ გალავნის კედელზე აუგიათ ორნავიანი ეკლესია, რომლის გარე ზომებია (8X7მმ.). რადგან არ ხერხდებოდა საკურთხევლის O-ით დამხრობა, ამშენებელს დაახლოებით 0,5 მ-ით O-ით მიუბრუნებია გალავნისგან ეკლესიის კედლები. თაღი და კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია, ზოგან თითქმის საძირკვლამდე (თუმცა, სავარაუდოდ 1-1,5 მ-ზე მაინც ამოვსებულია ეკლესია ბათქაშიანი ქვებით და მიწით. ეკლესიას ორივე მხარეს ჰქონია თლილი ქვის პერანგი, რომელიც აქა-იქ აქვს შერჩენილი. ეკლესიის ორივე ნაწილს აქვს თითო სარკმელი აფსიდის მხარეს, ისინი ვიწრო და სწორკუთხოვანია. მთავარი ნავის აფსიდი ნალისებურს ჰგავს, მეორე N-ის ნავი (სამკვეთლო)

[2] უნდა აღინიშნოს ის რომ - „მუჟ“/„მგჟ“ სვანურად მზეა, იგივეა, რაც მეგრული „ბჟა“/ მგჟა=მუჟა - მზიანი.

უაფსიდოა. ეკლესიას კარები SW მხარეს აქვს. სავარაუდოდ, კარი გადიოდა მთავარი დარბაზიდან სამკვეთლოში. ეკლესიის SO კედლის გაყოლებაზე - ქვემოთ არის ნაგებობა (საძირკვლის დონეზე) მწყობრად ნაგები, წრიული თაღით და კედლებით (8X 1,5მმ.), რომელიც აკლდამა (საძვალე) უნდა იყოს. ყველა ნიშნით ეკლესია ადრე შუასაუკუნეებით, უფრო IX-X სს-თ უნდა დათარიღდეს. ციხის ეზოში ეკლესიიდან 10-11 მეტრის დაშორებით საკმაოდ დიდი ნაგებობის ნანგრევებია (12,5 X 6,5 მმ.), მისი NO და SWკედლები კლდეშია „შეჭრილი“. შენობა ორი ნაწილისაგან შედგება, მათ შორის არის გასასვლელი კარი. NO და SW კედლებში თითო-თითო ნიშაა დატანებული. შენობის მესამე ნაწილი თითქმის საძირკვლამდე დანგრეულია (SO მხარეზე), სავარაუდოდ, მცირე ზომის კოშკი იდგა, ხოლო SWკუთხესთან იყო ნიში, საპირფარეშო. ციხის S და SO კედელი გამაგრებულია კონტრფორსებით. შემოსასვლელ კართან, რომელიც O კუთხესთანაა (სიგანე 1,8 მ.) არის მოზრდილი (შიდა ზომები 7X5 მმ.) ოთხკუთხა საცხოვრებელი კოშკი. კოშკის I სართულის კედლები ყრუა. როგორც მისი, ისე სხვა ზემოთ აღწერილი ნაგებობების კედლები პირველი სართულის დონეზეა და ერთ ხაზზეა გასწორებული, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ შენობების მეორე სართულები (და ა.შ.) ხის ნაგებობებს წარმოადგენდნენ. მუჟავას ციხე-დარბაზი საისტორიო ლიტერატურაში ცნობილი არაა. ვინ, როდის იჯდა იქ, რას ფლობდა, ან რა ფუნქციას ასრულებდა - ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია, იქ მჯდარი ფეოდალი იმთავითვე ფლობდა ოლორის ხეობას მთლიანად თუ არა, მის ზემო წელს მაინც.



ნახ. 5

იმავე მუჟავაში, საანთიოს უბანში, ოლორის მარჯვენა ნაპირთან დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია (8X5მმ), რომელსაც ადგილობრივები - **ჯიხა-ოხვამეს** ეძახიან. მას ორივე მხარეს ორი ღელე ჩამოუდის, რომლებიც იქვე უერთდებიან ოლორს. ეკლესიის გარშემო გალავანი ჰქონია, ალბათ ამიტომ უწოდეს: ჯიხა-ოხვამე. ეკლესიისგან გადარჩენილი იყო N-ის კედელი

და O-ით ბრტყელი და უფორმო აფსიდის (საკურთხევლის) ნაშთი; ეკლესია ნაგები ყოფილა მოზრდილი ფლეთილი (კლდის) ქვებით.



ნახ.6

მუჟავაში ასევე არის სხვა „**ნაოხვამუ**“ ადგილი, აქ ყოფილა არქანიების სალოცავი, რომელიც მთლიანად დანგრეულია „**ნოჯიხსა**“ და „**ნაოხვამუს**“ შორის არის ადგილი ე.წ. „**აკარდამა**“. სოფლის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების სხვა ძეგლი ვერ დავაფიქსირეთ. ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა, თუ რას გულისხმობდა თ. ბერაძე მუჟავის გვიანფეოდალურ სამონასტრო კომპლექსში“ (12: 69).

ჯვარი

ჯვარი მდებარეობს ენგურის მარცხენა მხარეს, იქ, სადაც ეს მდინარე გამოდის ვიწრო კლდოვანი ხეობიდან. დაბასა და მის მიდამოებში ადამიანის ცხოვრების კვალი შეიმჩნევა პალეოლითიდან. ამაზე მეტყველებენ არქეოლოგიური ძეგლები: ჯვარი I, ჯვარზენი I და II (ქვედა და ზედა პალეოლითური სადგომები), ჯვარი - გორა **ოფაჩხაფუ**, ჯვარჰესის გამოქვაბული (წყალსაცავის ქვეშაა მოყოლილი), **ჯვარის ციხე** (ნეოლითის და ენეოლითის ხანის ძეგლები) და სხვა (7;11-12) 1964 წ-ს შესწავლილ იქნა **მასხანიას გამოქვაბული**, რომელიც ელინისტურ ხანაში ფუნდუკად ყოფილა გამოყენებული (14) ჯვარზე გადიოდა უძველესი გზა, რომელიც კოლხეთ-ეგრისს, შემდეგ სამეგრელოს სვანეთის გავლით N კავკასიასთან აკავშირებდა (იქვე; და 13; 341). 1639-1640 წლებში აქ გაიარეს რუსთ ხელმწიფის ელჩებმა ფედოტ ელჩინმა და პავლე ზახარიევმა (იქვე). ესაა ჯვარის პირველი მოხსენიება წერილობით წყაროებში. ჯვარს სამეგრელოს სოფლების ჩამოთვლისას ახსენებს აგრეთვე გიულდენშტედტი (15; 323).

გზასთან დაკავშირებით საინტერესოა ჯვარისა და მისი მიდამოების ტოპონიმიკა: **ქართლაში** (ქართველთა ლაშქარი) **„დედოფალიშ მიკნაკირა“** (სადაც დედოფალმა ...მიაბა) **„დედოფალიშ**

ნაქურუ“ (დედოფლის ნატერფალი) **„დედოფალიშ შარა“** (დედოფლის გზა) და სხვ., რაც გადმოცემით თამარ მეფის სვანეთში მოგზაურობას უკავშირდება.

ჩვეულებრივ ჯვარი იყოფა უბნებად, რომელთა ნაწილი ადრე ცალკე სოფელი იყო.

1. **გუბანი** მდებარეობს მდინარეების: ენგურისა და მაგანას ხერთვისში. ის ორ ნაწილად იყოფა. ზემო (ციხის უბანი) იგივე **ომუნე** და ქვემო (ეკლესიის უბანი).

ქვემო გუბანში ორი ეკლესიის ნანგრევია, S მხარეს არის დიდი გუმბათიანი ეკლესია (16,5 X10 მმ). აფსიდა ნახევრად წრიულია. საკურთხევლის კედელს მიდგმულია ორი საყრდენი სვეტი, საკურთხევლის N-ით (ხელმარცხნივ) სამკვეთლოა, S-ით (ხელმარჯვნივ) ეკვდერი, ორივეს შესასვლელი W-ით აქვს. შიდა სივრცე ყრუა, უნიშო და უსარკმელო. N მხარეს მდებარე I სვეტიდან 3 მეტრის დაშორებით მესამე თორმეტწახნაგა სვეტია. 4 სვეტი S-ის მოპირდაპირე ზემოდან ჩამოცვენილი ქვაღორღითაა დაფარული და არ ჩანს. ის 1964 წ-ს თ. ბერაძეს უნახავს (თ. ბერაძე, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 219-220). ეკლესიას ჰქონია სამი კარი N -ის (სიგანე 1,2 მ.) და W-ის (მთავარი შესასვლელი სიგანით 1,6 მ.) კარებისაგან განსხვავებით S-ის კარი არ ეტყობა, რადგან N-ის და W-ის კედლებისაგან განსხვავებით, რომლებიც თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი, S-ის კედლის და გუმბათის ნაშთები გროვა-გროვადაა დახვავებული ეკლესიის შიგნით. ეკლესიას სარკმელი აქვს საკურთხევლის შუაში, ორ-ორი N -ისა და W -ის კარის თავზე. ისინი ბოლოვდებიან ნახევრად წრიული თაღებით (1,5 X 0,5 მმ), რომლებიც გარეთ ვიწროვდებიან. S მხარეს გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ ზოგიერთი დეტალის დადგენა შესაძლებელი იქნება. ეკლესიის N კარის თავზე ყოფილა რამდენიმე სტრიქონიანი წარწერა - „პაპალურად“ (ხუცური, როგორც ჩანს ასომთავრული) იყო შესრულებული. ქვა წაუღიათ, სად - უცნობია (ეს ცნობა მოგვაწოდა 1984 წლის ზაფხულში, ეკლესიის გვერდით მცხოვრებმა 82 წლის მირიან ქარდავამ). ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვით, პერანგი ახლა თითქმის შემოცლილი აქვს. ძეგლი პროფ. პ. ზაქარაიას მიერ XI-XII სს-ითაა დათარიღებული.

მეორე, უფრო მცირე ზომის (9X9) ბაზილიკური ეკლესია, დგას პირველის N-ით, ნაგებია რიყის ქვით, პერანგის ქვები დამუშავებულია. თ. ბერაძე წერს: „მეორე ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა“ ... „ეკლესიას N-ით ჰქონდა მცირე კარი, რომელიც საძვალეში გადიოდა“... „ეკლესია წყობის მიხედვით გვიანფეოდალური ხანით თარიღდება“... (საკანდიდატო დისერტაცია გვ.220) ეს აღწერა რეალობას არ ასახავს და დაზუსტებას მოითხოვს. 1. ეკლესია არა ერთი, არამედ ორნავიანი ბაზილიკაა (ის, რაც გადარჩენილია). თუმცა, გამორიცხული არაა, ეკლესიას S-თაც ჰქონოდა ნავი, რადგან SO კუთხესთან კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი). 2. ეკლესიის მთავარი ნავიდან N-ის კარი გადის საძვალეში კი არა, გაცილებით ვიწრო ნავში, რომელიც პატარა ეკლესიაა. მას ნალისებური აფსიდა, შუაში სარკმელი, გვერდებზე სულ პატარა ნიშები აქვს (სარკმელი გარედან ამოშენებულია), ნავი ორადაა გაყოფილი პირველი აბსიდიანი (4X2მმ) ორჯერ დიდია, მეორე კვადრატულ სათავსოზე (2X2მმ), რომელიც, შესაძლოა ეკვდერის მოვალეობას ასრულებდა (შესასვლელი ვიწროა -0,8 მ). N-ის ნავს კედლები და თაღი მთლიანად შერჩენილი აქვს. მთავარი ნავი მთლიანია (7,6X4მმ), პირველზე თითქმის ორჯერ დიდია, სხვა ნიშნებიც განსაკუთრებით, ორივე ნავის საკურთხეველი გეგმაში ერთმანეთის მსგავსია. კარები თაღიანია, რომელიც როგორც კარნიზი გამოყვანილია შირიმის თლილი ქვებით, მთავარი ნავის აფსიდაც ნახევრად წრიულია. ის როგორც N 1 -ის ნავში გამავალი კარი დხლ. 1-1,5 მმ-ზე მიწითაა ამოვსებული.

N-ის ნავი გარედან მიწისქვეშაა მოქცეული, ხოლო შიგნიდან N ნავში კარიდან დაბლა ჩადიხარ, რადგან იატაკი თავდაპირველ დონეზეა და თუ შიგნით არ შეხვალ, დაგრჩება შთაბეჭდილება, რომ საძვალეა. **3.** ყველა ნიშნით ეს ეკლესია არაა გვიანფეოდალური ხანის, არამედ გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე პირველი ეკლესია. ის უეჭველად ადრე შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს. გადმოცემით აქ ძველად ქალთა მონასტერი ყოფილა, და ბოლოს, ჩვენ ვვარაუდობთ, ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც „სკვითიაში“ მომავალმა ანდრია პირველწოდებულმა ჯვარი აღმართა (თუმცა, გადმოცემა სხვა ადგილზე მიანიშნებს), ოღონდ იქ, სადაც ახლა კოშკი დგას ე. წ. **„ყენიაშ ჯიხა“.**



ნახ.7

„ყენიაშ ჯიხა“ მდებარეობს გუბანის ზემო უბანში, რომელსაც **ომუნეს** უწოდებდნენ. დღეს ციხისაგან გადარჩენილია მხოლოდ ოთხკუთხა კოშკი, (რომლის ჩამონგრეული ნაწილის რესტავრაცია ჩაუტარეს და რატომღაც ქონგურებს „სვანურის“ ფორმა მისცეს). შემორჩენილი ძველი კედლებიდან ჩანს, რომ 5/6 მეტრის სიმაღლეზე ის ყრუ იყო. სართულებს შორის გადახურვა კოჭოვანი ყოფილა. კოშკს სათოფურები არ ჰქონია, ამიტომ XV ს-მდე აგებულად თვლიან (თ. ბერაძე, საკანდიდატო დისერტაცია, გვ.221). ციხის გალავანი ისე არის დანგრეული, საძირკვლის ნაშთიც ვერ დავაფიქსირეთ.

ამ კოშკიდან N-ით ჯვარი-მესტიის ახალი გზის ხელმარცხნივ, დახლ. 2,5 კმ-ზე, იქ, სადაც მაგანსა და ენგურის ხეობები ყველაზე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, მათ შორის მდებარე მაღალ თხემზე შემორჩენილია უძველესი ციხის ნანგრევები. მისგან ახლოს NO-ით ადგილს ჰქვია **ლაბარაში**. ამიტომ მას **„ლაბარაშის ჯიხას“** უწოდებენ. ციხეს მისასვლელი აქვს S-დან (ასე უნდა იყოს, რადგანაც ის N-დან მომავალ გზაც იცავდა), სადაც კლდეებში გაჭრილია ვიწრო გასასვლელი (2-2,5 მ-ის სიმაღლის) -„**კლდეკარი**“, აქედან N-დან დახლ. 60 მ-ზე ყველაზე მაღალ

ადგილზე დგას ოთხკუთხა კოშკი (ზომები 6,5 X5,5 მმ.), რომელსაც NO და SO კუთხეებში აქვს კონტრფორსები. კედლის სისქე 1,2 მ-ია. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვის საკმაოდ მოზრდილი ლოდებით კირქვიან დუღაბზე. კოშკი, სავარაუდოდ, სამსართულიანი იყო, თუმცა, შერჩენილი ნიშნებით მხოლოდ ორი სართულის დაფიქსირებაა შესაძლებელი. კოშკის შიდა კედლებზე არის საძელეები. კედლის (გალავნის) კვალი არ ჩანს. ჩვენი აზრით, არც ჰქონია, რადგან ორივე მხარე მიუვალია. S-ით ციხეს აქვს გალავანი, კედლის სისქე 1,5 მ-ია. თ. ბერაძე ციხეს ადრეფეოდლაური ხანით ათარიღებს (11,44) ამ დათარიღებას ჩვენ ვიზიარებთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხე სვანეთიდან მომავალ გზას აკონტროლებდა. ამავე დანიშნულების იყო ე.წ. **„ყენიაშ ჯიხა“,** რომელიც შესაძლებელია პირველის გაუქმების გამო იქნა აგებული (?).



ნახ.8

1.**ჯვარზენი.** ჯვარის ზემო უბანია, წყაროებში ის ცალკე სოფლად არ იხსენიება, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გიულდენშტედტის მიერ სამეგრელოს სოფლებს შორის დასახლებულ - „**კურსეიინთან**“ აიგივებენ (15; 323), რაც შეცდომაა. ჩვენ ვფიქრობთ „**კურსეიინი**“ მარტვილის რ-ნის სოფ. გურძემი უნდა იყოს.

ჯვარზენის NO-ით ჩქვალერისკენ მიმავალი გზის პირას (ხელმარჯვნივ) წმ. გიორგის (**„ჯეგე/ ჯგეგე**“) ეკლესიის ნანგრევებია. ის XX ს-ის 30-იან წლებამდე მოქმედი ყოფილა. ამ დროს ეკლესია დაუნგრევიათ სამრეკლოსთან (ახლა მისი საძირკველიც არ ჩანს) ერთად, რომელიც ეკლესიის SW-თ მდგარა [არსებობს ეკლესიის დანგრევამდელი ფოტოსურათი, ცნობა მოგვაწოდა ბოლო მღვდელმსახურის შვილიშვილმა, გვარად გეთიამ]. ეკლესია გეგმით ტრიკონქია. ამ ტიპის ძეგლებს საქართველოში ათარიღებენ VII-X სს-ით. არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელიც 1964 წ-ს ჩატარდა (რ. აბრამიშვილის და თ. მიქელაძის მიერ) ეკლესიასთან, შესწავლილ იქნა სამაროვანი, აღმოჩნდა „ქვაყუთები“ და სხვადასხვა ნივთები, რომლებიც VII- VIII სს-თ იქნა დათარიღებული (10;15 და აგრეთვე თ. ბერაძე, საკანდიდატო დისერტაცია, 222). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკლესიასთან ახლაც სასაფლაოა.

გადმოცემით აქ გაუვლიათ ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელს და წმ. გიორგის ეკლესიის ადგილზე ჯვარი აღუმართავთ. ამიტომ დარქმევია ამ სოფელს ეს სახელი. ჯვარზენის წმ. გიორგი ძლიერი სალოცავი ყოფილა. ის ილორისა და ყულის წმ. გიორგის ძმად ითვლებოდა. გარშემო ბევრი სხვა ეკლესია იყო, თუმცა, შესაწირავს მხოლოდ მას სწირავდნენ (ეს მის სიძველეზე უთითებს, სავარაუდოდ, აქ ქრისტიანობამდე წარმართული სალოცავი უნდა ყოფილიყო). მთავარი დღესასწაული გიორგობა 23 ნოემბერს იმართებოდა.

ეკლესია თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული. კედლები გარკვეულ დონეზე გადარჩენილია S-თ და SW მხარეს, თუმცა გეგმის სწორი წაკითხვა შესაძლებელია (იხ. ნახ. 9). ეკლესია ყოფილა გუმბათიანი, ჰქონია თლილი (დამუშავებული) ქვიშაქვის პერანგი (ეკლესიის ქვები გამოუყენებიათ სკოლის ასაგებად, რომელიც მისგან Wდგას). სამშენებლო მასალად გამოყენებული ყოფილა აგრეთვე შირიმის ქვა, რომელიც აქა-იქ ყრია ეკლესიის გარშემო. სამრეკლო მდგარა ეკლესიიდან S-W-ით. ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი. მისი ნაშთები ჩანს O მხარეს, დხლ. 25 მ-ზე. ეკლესიას გარშემო საძირკველთან შემოუყვებოდა კარნიზი. გუმბათი ეყრდნობოდა ოთხ სვეტს (1X0,8 მმ), რომლებიც კონქებზე იყო მიდგმული. საკურთხევლის ზომებია (5,5 X 4მმ.), კედლის სისქე 1მ, საერთო ზომები გარედან აფსიდა-კონქებიანად (16 X13,5 მმ).



ნახ. 9

3.ჯვარის ერთ-ერთი უბანია **ლექარდე**, რომელიც ადრე ცალკე სოფელი იყო (იხ. ხუთვერსიანი რუკა). სოფელში ყოფილა ხის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში დაუშლიათ. **მენჯერე ღალსა** და **კანჯარა ღალს** შორის არის ადგილი, **ნაკა** (სვანურად მდინარის პირა ჭალას, ვაკეს ნიშნავს). აქვეა ოთხკუთხა კოშკის ნანგრევი და **ლეჩაფეს** მთის S კალთაზე გამოქვაბული.

გარდა ამისა, ჯვარში არაერთი უბანია, რომელიც **ლე**- პრეფიქსითაა წარმოებული: **ლეხარჩილე, ლეხუბუტე, ლეყურუე, ლექანთარე, ლემანიე, ლეხასაიე, ლეციმინტე („ლეციმინტეშ დუდში“** მთხრობელებმა ციხეზე - „**ჯიხა**“ მიგვითითეს, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ დავაფიქსირეთ, შესაძლებელია, ეს ის ადგილი იყოს, რომელიც აღნიშნულია აკაკი ჭანტურიას ჯვარის არქეოლოგიურ რუკაზე, გარშემო წარწერებით: **ჯვარი, ნაჯიხა, ნაოხვამუ, ნოხორი), ლესამულე.**

4. ჯვარის უბანია **ოხარკალუ** (სახრიგინოს ნიშნავს), ადრე ცალკე სოფელი ყოფილა.

5. **ოჭანე** - ადგილობრივთა გადმოცემით აქ ძველად ჭანიებს უცხოვრიათ. დღეს აქ მხოლოდ ჩქვალერიდან გადმოსული ფიფიები ცხოვრობენ. ისინი აქ რომ დასახლებულან, ეს ადგილი უკაცრიელი ყოფილა. მართლაც, აქ ჭანიებს რომ ეცხოვრათ, მაშინ მისი სახელწოდება: ლეჭანიე ან საჭანიო იქნებოდა, რადგან დადგენილია, რომ **ო**- თავსართი გვარის მიხედვით მეგრულში სოფლის დასახლების სახელწოდებას არ აწარმოებს. ასევე იგივე თვალსაზრისით ვერ დავუკავშირებთ ეთნონიმ -ჭანს; თუმცა ჭანისწყლის სიახლოვე და ქართულ სინამდვილეში **ოცხეს** (ოძრხე) დაკავშირება მესხთან (ომესხე - იგივე სამცხე - სამესხე) თუ რეალურია, ამ შემთხვევაში ოჭანეს ჭანთან კავშირს საბოლოოდ ვერ გამოვრიცხავთ.

ლია.

ლია დიდი სოფელია ჯვარის S-ით ენგურის მარცხენა ნაპირზე. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით **ლია** - საფლობს, ტალახს ნიშნავს (16, 414). ჩვენ ვფიქრობთ, სოფლის სახელწოდება უფრო უკავშირდება მის მეგრულ ერთ-ერთ მნიშვნელობას - მივარდნილი და დაგუბებული, დაჭაობებული წყალი, აქედან ადგილს (ლიამპალი - შეადარე: პალური) ნიშნავს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ენგურის და სოფლის მდებარეობის გეოგრაფიულ მახასიათებლებს.

სოფელი იყოფა ორ ნაწილად; ზედა **(ჟინ) ლია და შუა (შქა) ლია** (ბუნებრივია, უნდა იყოს ქვედა ლიაც. ამ შემთხვევაში შეიძლება ის პალურს გულისხმობდეს). შუა ლიაში ყოფილა ხის ორი ეკლესია. ერთი მდგარა სოფლის ცენტრში, ხოლო მეორე ე.წ. წმ.გიორგის სახელობის სასაფლაოზე (ალბათ, ეკლესია იყო წმ. გიორგის სახელზე). ის მდებარეობდა ლიიდან ჯვარისკენ მიმავალ გზასთან ახლოს, **ზედა ლიას** საზღვართან. ეკლესია აუგია გრიგოლ დადიანს XIX ს-ის 60-იან წლებში, მასთან ახლოს ენგურის პირას მდგარა ამ დადიანის ხის სასახლე, იმ ადგილას ახლა ,,**ნადოხორეს,**“ ეძახიან.

შუა ლიაში სოფლის ცენტრიდან NO-ით, გორაზე, რომელსაც **,,დიდა ქირსა“** (,,დედაღვთისა“) ქვია, არის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. ძეგლი არქეოლოგიურად შესწავლილია. აქ გათხრები მიმდინარეობდა 1968-69 წლებში (17;126-134). გორაკზე აღმოჩნდა სხვადასხვა დროის კულტურული ფენა ანტიკური ხანიდან, მთელი შუა საუკუნეების ჩათვლით, XVIII ს-ის ბოლომდე უწყვეტი ცხოვრებით (იქვე; 126). ციხის ეზოში გაითხარა ეკლესია, ნაგები რიყის ქვით, გამოყენებული ყოფილა აგრეთვე სწორკუთხოვანი აგური. ჯ. ჯღამაია ფიქრობს, რომ ეკლესია ადრე შუა საუკუნეებში ყოფილა დანგრეული. ამიტომაა რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მის შესახებ არაფერი იცის (იქვე; 128-129). ჩვენ ვფიქრობთ, ის,

შესაძლოა, უფრო გვიან, XVII ს-ის 60-იანი წლების შემდეგ უნდა დაენგრიათ, როცა თურქთა და აფხაზ-ჩერქეზთა ლაშქრობები გახშირდა ოდიშის სამთავროზე. გათხრებისას აღმოჩნდა აგრეთვე XVIII ს-ის თურქული ფაიანსის ჭურჭელი (იქვე). ჯ. ჯღამაიას ვარაუდით, კოშკები (ორი კოშკი ციხისაა, მესამე - ციხიდან მოშორებით, განცალკევებით იდგა, ახლა თითქმის საძირკვლამდე დანგრეულია - ა.თ.) ადრე ფეოდალური ხანისაა, ორი პირველი კოშკი გვიან ფეოდალურ ხანაში შემოსაზღვრულ იქნა გალავნით (იქვე; 127). ის (ჯ.ჯ.) ამ დასკვნას შემდეგი ნიშნების საფუძველზე აკეთებს: „კედლები ერთმანეთისგან განირჩევიან, როგორც სისქით, ისე მშენებლობის ტექნიკით, რაც ციხის არაერთგზის დანგრევა-განახლებაზე მიუთითებს... ქვედა ფენა ნაგებია ჰორიზონტალური წყობით, საგანგებოდ შერჩეული დიდრონი რიყის ქვებით... ქვედა წყობის სიმაღლე 1 მეტრია“ (იქვე; 127-128). ციხეში შესასვლელი კარი ახლა არ ჩანს, ის უნდა ყოფილიყო NW-ით, სადაც კედლები მორღვეულია. ჯ. ჯღამაიას თქმით, ჯერ აშენებულ იქნა ეკლესია, მოგვიანებით კი კოშკები (IV-VIს.ს). ხოლო გვიან შუა საუკუნეებში (XVI-XVIII სს) გალავანი (იქვე;1228-132). ჩვენ, ციხის დათვალიერების შემდეგ, ვფიქრობთ, ჯღამაიას დასკვნა საფუძველს მოკლებულია: 1. ეს თვითონ მისი ტექსტიდან ჩანს, მაგ.: „კედლები ერთმანეთისგან განირჩევიან, როგორც სისქით, ისე მშენებლობის ტექნიკით...“ „ქვედა ფენა ნაგებია ჰორიზონტალური წყობით...“ 2. პირველი ორი კოშკი ისე ახლოს დგას ერთმანეთთან, ისე არიან განლაგებული, უგალავნოდ მათ აგებას აზრი ვერ ექნებოდა. 3. ციხე ისეთ ადგილზეა აშენებული, საეჭვოა ადრე ფეოდალურ ხანაში მისი სტრატეგიული მნიშვნელობა არ შეემჩნიათ. ციხეს O-ით და S-ით ჩამოუდის პატარა ღელე **-„გოჩიშ ღალი“.** ციხიდან S-ით, იქ, სადაც ხევი ძალიან ვიწროვდება, ადგილს „**გოხორხილი**“ ქვია (გახერხილი ადგილი) ე.ი. „კლდეკარი“, გზა, გასასვლელი. ციხე ისეთ „მოხერხებულ“ ადგილზე დგას, აკონტროლებს ჯვარიდან, ფახულანიდან, ასევე S-დან და O-დან მომავალ გზებს.

ნახ. N10

პალური

პალური ცნობილია არქეოლოგიური ძეგლებით. განსაკუთრებით ნეოლითური ნამოსახლარით (18; 30-31). 35-41 ასევე 1964 წელს არქეოლოგების მიერ ძვ.წ. VI-V სს-ის სამაროვანი (14;15) პალურზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები. ფეოდალური ხანის ძეგლები არაა შემორჩენილი (საფიქრებელია, არც იყო). სოფლის ცენტრში იდგა ხის ეკლესია, რომელიც 30-იან წლებში დაუშლიათ. იქ, სადაც დღეს სასაფლაოა, იყო წმ.გიორგის ეკლესია, რომელიც დაუნგრევიათ. აქ 29 ივნისს (ძვ. სტილით) იმართებოდა წმ. პეტრეს დღესასწაული, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „**პერტობას**“ უწოდებენ.

პალურის SO-ით მდებარეობს **მახარია**, ამავე სახელწოდების მდინარის სათავიდან დაახლ. 100-150 მეტრში, მის მარცხენა მხარეს, ჯაგები და ეკალბარდებით დაფარულ მაღლობს **„ნაოხვამუს“** რომ უწოდებენ, ადგილობრივები, გარს შემოუყვება გალავანი, ზოგან საძირკვლამდე დანგრეული. W მხარეს კედლის სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს. S-ით კედელი გალავნის გარეთ გადის, სავარაუდოდ, აქ ან კოშკი იყო, ან სამრეკლო შესასვლელით პირველ სართულზე. გალავნის შიგნით, თითქმის შუაში, რაღაც ნაგებობის ნაშთია. სახელწოდება „ნაოხვამუს“ მიხედვით ეს ეკლესია უნდა იყოს. ამას ადასტურებს დამუშავებული, მათ შორის შირიმის („შებოტიას“) ქვები, რომელიც მის გარშემო ყრია.



ნახ. N11

საფაქიო ეწერი

სოფელი მდებარეობს ლიას, ჩხოუშის სათავეებს და ინწრას ხეობას შუა, ლეციმინტეს უბანში, გასული საუკუნის 30-იან წლებამდე მდგარა „ამაღლების“ სახელზე ხის ეკლესია. აქ

ყოველ წელს იმართებოდა ამაღლების დღესასწაული. **ლეჭანტურიეს** უბანში, ადგილი **„აფაქიაშ ნახორეში“** ცხოვრობდნენ, თავადი აფაქიძეები: ისტორიულ-არქიტექტურული სხვა ნაშთი სოფლის ტერიტორიაზე არ არის. არქეოლოგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია მეზოლითური სადგომი (18; 5). ე. წ. „მამუკიას ნოჯიხური“ (მამუკია აფაქიძის ციხე) მდებარეობს ენგურ-ჭანისწყალის წყალგამყოფზე, იქიდან SW -ით ჩანს ლიას ციხე, O-ით დხლ. 400 მეტრში ჩამოუდის მდ. ნოჟალა (ინწრას მარჯვენა შენაკადი), W-ით პატარა ღელე სკურეფია. ციხე ნაგებია რიყის ქვით, მას W-ით აქვს საკმაოდ დიდი ზომის კოშკი (7,40 X 7,40მმ.). მის ასევე დასავლეთ კედელზე ჩანს მესამე სართულის კედლის ნაშთი. პირველი სართული შიგნიდან მიწითაა ამოვსებული. გალავანი შემორჩენილია, W, S და O მხარეზე (ის ეკალბარდებითაა დაფარული). რაც შეეხება N მონაკვეთს, როგორც კოშკის, ისე გალავნის კედელი გადაქცეულია.



ნახ.12

მთის ნასოფლარები

გასული საუკუნის შუა წლებში ეგრისის ქედის წინამხრის კალთებზე მდებარე სოფლები: ენგურის, მაგანას და ოლორის ხეობებში თითქმის დაცარიელდა. მოსახლეობა ან მთის წინეთში და ბარში მდებარე სოფლებში ჩამოვიდა (ჯვარი, ლია, ფახულანი, ჭალე, მუჟავა) ან ქალაქებში და აფხაზეთში გადასახლდა: ყოფილ სოფლებს მხოლოდ სახელი შერჩათ,ზოგი მათგანი ენგურის წყალსაცავის ქვეშ მოექცა.

საზღვარი მეგრულ და სვანურ სოფლებს შორის გადიოდა **განდიშის ღალსა** და **ბარჯაშის წყლის,** შესაბამისად მარცხენა და მარჯვენა მხარეს. ჯვარს ზევით ენგურის აყოლებაზეა პირველი სოფელი იყო **ფოცხო** (დღ. დასახლება ფოცხო ეწერი). **ფურაში** (წყალქვეშაა მოყოლილი, ქვის ეკლესიასთან ერთად), **ქუალაგვანი, ფაშტახირი** (აქაც იყო ეკლესია, რომელიც გასული ს-ის 30-იან წლებამდე მოქმედებდა), **მუნწყვა**, **ეცი, ტყაბედინერი.** აქაც იყო ეკლესია ე.წ.-„**ჭანტურიეფიშ ოხვამე“**, **ჭველეთანა**, **ჭიქირი** (კლდე-სვეტს ნიშნავს), ესენი ენგურის მარჯვენა მხარეზე, ყველა ერთად წყალქვეშაა მოქცეული. რაც შეეხება ნასოფლარებს, ენგურის მარცხენა მხარეს, **წულიშის მთის** (მის წვერზე გადმოცემით მდგარა კოშკი, ხოლო მის ქვემოთ **სალკლდეზე,** გაყრილი ყოფილა რკინის რგოლი, რომელიც შავი

ზღვის „აღზევებისას“, ხომალდთა მისაბმელი ყოფილა). ზევით, პირველია **ხოკო**, აქ ჯვარ-მესტიის ახალი გზის ხელმარჯვნივ 10-15 მეტრის დაცილებით, ხეებითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ შემაღლებაზე ნანგრევებია. ეს ის ეკლესია უნდა იყოს, სხვადასხვა ცნობებით XIX ს-ში მოქმედი ყოფილა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია შირიმის ქვა. ალაგ-ალაგ ჩანს გალავნის კედელი, სხვა რამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია. ხოკოს ზევით მდებარეობდა, ამ მხარის მთავარი დასახლება ხუდონი. 1639 წელს რუსმა ელჩებმა დონღუზ-ორუნ ბაშის (ნაკრას) უღელტეხილის, ნაკრას ხეობის სოფ. ისკარის გავლის შემდეგ მოაღწიეს სამეგრელოს სოფ. ხუდონს (13; 318). ამ ცნობაზე დაყრდნობით თ. ბერაძე თვლის, რომ ოდიშის სამთავროს უკანასკნელი პუნქტი **ხუდონი** იყო (11; 42). ეს თუ ასეა, ხუდონს ზევით მდებარე ენგურისპირა მეგრული სოფლები გვიან შექმნილია, ან რუსი ელჩები ისკარიდან ენგურის გაყოლებით კი არ მივიდნენ ხუდონამდე, არამედ იმ გზით, რომელიც **ოჩისუკის, ზანდალაკის, დოლონ + სუკის** უღელტეხილებზე გავლით ხუდონთან უერთდება პირველ გზას.

ხუდონის მომდევნო სოფლები იყვნენ: **ჩხიჭონი, ტყვიში,** მათ შორის ენგურისპირს ოდნავ დაშორებული **წიფეში,** ტყვიშს ზევით - **ბუღურჯელი, კა**, ამის შემდეგ 5-6 კმ-ის დაშორებით **ხუბერი.** დ ბაქრაძე წერს: „მხოლოდ ხუბერში არსებობს ძველი კოშკი“ (19;13), მეგრელების ბოლო სოფელი ყოფილა **ბარჯაში**. საინტერესოა დ. ბაქრაძის მიერ 1860 წელს აღწერილი ენგურის ხეობის ეს მონაკვეთი: - „სამეგრელოსა და სვანეთს შორის საზღვრად მიიჩნევა ენგურის მარჯვენა შენაკადი „**ეცი**“, რომელიც ჯვარიდან 15 ვერსზე მდებარეობს. ხეობაში ხალხი განსახლებულია 10 ვერსის სიღრმეში. მას სახელად **ხუდონს** ეძახიან [ე. ი. ამ მონაკვეთს ჯვარიდან ეცის ჩათვლით დ. ბაქრაძე ხუდონის ხეობად თვლის - ა.თ.] და ჯვარის მოსახლეობის გაგრძელებას წარმოადგენს. აქ მდინარის (ენგური - ა.თ.) ორივე ნაპირზე მცირე რაოდენობით გხვდება მეგრული ქოხები. ირგვლივ ღომისა (.) და სიმინდის ნათესებია, ოდნავ მოშორებით კი მოჩანს ცალკეული ხუტორები. ამაოდ იმზირები ტყის სიღრმეში არსად ჩანს ადამიანის ცხოვრების კვალი, მხოლოდ ხუბერში არსებობ ძველი კოშკი (აქ კოშკის აგება უეჭველი ნიშნავდა N-დან მომავალ გზას უწევდა კონტროლს და აქ ახლოს (ხუბერს ზევით - სვანეთისკენ) საზღვარი იყო, როდის? ამაზე პასუხი მხოლოდ ამ სიმაგრის ფუნქციონირების დრო განსაზღვრავს - ა. თ.) და ხაიშში - ძველი ეკლესიის ნანგრევევბი, რომელთა გარშემო შემორჩენილია საცხოვრებლის ნაშთები. ოდნავ მოშორებით იზრდება კაკლისა და სხვა ხილის ხეები - ნიშანი იმის, რომ ოდესღაც აქ მოსახლეობა იყო. დანარჩენი სივრცე მკვდარია, უდაბნოა, არავითარი კვალი არ ჩანს მოსახლეობის არსებობისა (19;12-13).

მაგანას ხეობა

მაგანას ხეობის პირველი ნასოფლარია **ლეფიე (ლეფიფიე/ საფიფიო).** მდინარის ხელმარცხნივ, ნასოფლარის საზღვრებში სამი ოთხკუთხა კოშკის („ჯიხა“) ნანგრევია 1. **„ლეფიეშ ჯიხა“** შუა სოფელში, სულ დანგრეულია. 2. **„ჯიხა დოხვადი“** (ციხე - „დაუხვდი“), მდებარეობდა მაგანას მარჯვენა ნაპირზე სოფლის S-ით. იმავე მდინარის და მის მარჯვენა შენაკადის **ლაწყუნდარას** ხერთვიში, მაღლობზე დგას მესამე კოშკი - **„ჯიხა ღვარე“** (ციხე „იყვირე“), მისი ზომებია (5,5 X 5,5 მმ), ნაგებია დამუშავებული რიყის ქვით კირის დუღაბზე, წყობა თარაზული, კედლის სიმაღლე შერჩენილია 3,5 - 4 მმ- ზე, სისქე 1,5 მეტრია. ამ სიმაღლეზე შესასვლელი კოშკს არ აქვს, ე. ი. ის მინიმუმ სამსართულიანი მაინც იქნებოდა. სხვა ნიშნები (საისრე, სათოფური) ვერ დავაფიქსირეთ. ყველა მონაცემის გათვალისწინებით ის

ადრე ფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს. კოშკი იმ გზას იცავდა, რომელიც **ზანდალაკის**, **დოლონსუკი, ნატახტაშ-დუდის** და **საოჩიოს** უღელტეხილებით სვანეთიდან მოდიოდა.



ნახ. 13.

ასევე მაგანას ხეობის ნასოფლარებია: **ლეთომნე, ლაბალვა** (როგორც ჩანს, ადრე მიტოვებულია სხვებისგან განსხვავებით, აქ არის წიდების, რკინის მადნის გამონამუშევრები და ბოლოს მაგანას მარცხენა შენაკადის **წყავაშელას** პირზე, (ნასოფლარი **წყავაშში**), კოშკის (“**ჯიხას**“) ნანგრევებია, რომელიც ოთხკუთხა ყოფილა.

მეგრული ტოპონიმები: როგორც ეგრისის ქედი N-ით, ისე მის გაყოლებაზე და ენგურის მარჯვენა მხარეს: **ოჩი**(სადგომი ადგ.), **ოჩი - სუკი** (უღელტ.), **(ც)უმრონი** (სადგომი ადგ.), **(ც)ურაში** (ხეობა, მდ.), **თეკრაშ-დუდი** (მთა), **კვეიში** (მდ.), **ოთეფურა** (მთა), **თხეიში/ ხეიში** (მდ.), **ცხიკი** (მდ.), **საოჩიო** (უღ.), **ნატახტაშ - დუდი** (მთა და უღ.), **უჩახარხი** (მთა), **ჭითა გვალა** (მთა), **თხეიშიშ -დუდი** (მთა), **ლაღამურაშ-დუდი** (მთა), **დიდღალ დუდი** (მთა), **დოლონ სუკი** (უღ.),

ზანდალაკი (უღ.), **ჭითა ალიში** (მთა), ქვაბი (მთა), ბერჩე (მთა), **ლარა კვაკვა** (მდ.), **ორქოწყარი** (ტბა) და ა.შ. - მიანიშნებს იმაზე, რომ დღეს მესტიის რ.ნ. ეს ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში დაუსახლებელი იყო (ეგრისი ქედს იქით). მას მეგრელი მეჯოგეები საძოვრად იყენებდნენ. ამან განაპირობა ხაიშში მეგრელი ჭკადუების დამკვიდრება და ამის შემდეგ თანდათანობით, აქ სვანური მოსახლეობის გაჩენა (აღნიშნული მხარის შესახებ სვადასხვა ცნობებს შორის, საყურადღებოა, როგორც რუსი ელჩების (XVII ს.), ისე დ. ბაქრაძის ზემოთ მოყვანილი იქაურობის მდგომარეობის აღწერა (19,12-13).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.
2. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I; ისტორიული საბუთები სულთა მატიანეები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ.,1986.
3. თორდია ავთ., დადიანები, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ნაკვეთი I (XI-XV სს), თბ., 2019
4. ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტრიო წყარო, I თბ. , 2005.
5. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ, 1962.
6. მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდიდან დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედქციით, თბ, 1939.
7. გრიგოლია გ., ბარამიძე მ , ..., ენგურჰესიის მშნებლობასთან დაკავშირებული საძიებო - არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა ძიების შედეგები (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები) თბ. 1964 წელი.
8. ლუკავა შ., დავიცვათ კულტურის ძეგლები, ძეგლის მეგობარი N 43 -44 , თბ. 1976-1977
9. ვახუშტი, საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997.
10. ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედაქციით, თბ, 1970.
11. ბერაძე თ., XVII ს-ის I ნახევრის ოდიშის რუკა, ძეგლის მეგობარი, N 21, თბ 1970.
12. ბერაძე თ., ვახუშტი ბარგატიონი და ოდიში, ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV თბ, 1971.
13. Белокуров С; Посольство дьяка Федота Ельчина и священника Павла Захарьева в Дадьянскую землю (1939-1640 гг.) Журнал Чтение в обществе истории древностей российских при московском университете; М. 1887
14. აბრამიშვილი რ. , თ., მიქელაძე, არქეოლოგიური გათხრები ენგურჰესიის სამშენებოლო მოედნებზე. 1969 წელს, ზუგდიდის სახელმწიფო მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, თეზისები, ზუგდიდი, 1965.
15. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგამნითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ. 1962.
16. ორბელიანი ს - ს., ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

17. ჯ. ჯღამაია, სოფელ ლიას შუასაუკუნეების ნაციხვარი, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია , N1, 1980 წელი.
18. გრიგოლია გ., ენგურის არქეოლოგიური ექსპედიიცის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმის 1965 წლის მუშობის შედეგები, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე - არქეოლოგიური კველევა ძიების შედგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგელები), თბ., 1966.
19. ბაქრაძე. დ.. უვაროვა ვ. სვანეთი, თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო კ. ჭილაიამ, თბ., 2023.